

*საბაკალავრო პროგრამა*

*კავკასიოლოგიაში*

*იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერების საფუძველზე*

**I მოდული**

**აფხაზური(აფხაზომცოდნეობა)**

სტუდენტი ინტენსიურად შეისწავლის საქართველოს მეორე სახელმწიფო ენას აფხაზურს

**II მოდული ადიღური (ადიღურ-ჩერქეზული) სტუდენტი ინტენსიურად**

შეისწავლის ჩერქეზულს

**III მოდული ნახური (ჩეჩნური)**

სტუდენტი ინტენსიურად შეისწავლის ნახურ ენათაგან ჩეჩნურს, ინგუშურსა და წოვა თუშურს

**IV მოდული დადესტნური ენები**

სტუდენტს ეძლევა საშუალება აირჩიოს ინტენსიური სწავლებისათვის დადესტნურ ენათაგან ხუნძური, თაბასარანული, უდიური დიდოური. გაცვლითი პროგრამებით:ლეზგიური, დარგუული, ლაკური

**ირანულენოვანი ეთნოსები კავკასიაში**

**V მოდული ოსომცოდნეობა**

სტუდენტი ინტენსიურად შეისწავლის ოსურ ენას, ოსი ხალხის ისტორიასა და კულტურას. ოსურის, როგორც ინდოევროპული ენის მნიშვნელობას კავკასიაში გავრცელებულ ენათა შორის.

**თურქულენოვანი ეთნოსები კავკასიაში**

**VI მოდული აზერბაიჯანმცოდნეობა**

სტუდენტს საშუალება ეძლევა გაცვლითი პროგრამებით შეისწავლოს დანარჩენი თურქულენოვანი ეთნოსებიც (ყარაჩაული, ბალყარული, ყუმიყური . . .)

## კავკასიის ისტორია

### VII მოდული კავკასიის ხალხთა ისტორია და კულტურა

სტუდენტი ქრონოლოგიურად შეისწავლის კავკასიაში მცხოვრები ეთნოსების ისტორიისა და კულტურის საკითხებს, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას, ფიზიკურ ანთროპოლოგიას ხელოვნების ისტორიას, კავკასიური ცივილიზაციის პრობლემურ საკითხებს.

კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა დაყოფილია შვიდ მოდულად, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს სწავლების პირველივე საფეხურზე სწორად განსაზღვროს არჩევანი. კავკასიოლოგია, როგორც დარგი, საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს და სრულყოფილს გახდის სწავლების სამივე საფეხურს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და სამეცნიერო კვლევების მრავალსახეობათა სისტემაში მოყვანას.

იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდა კავკასიაში გავრცელებულია არაიბერიულ-კავკასიური ენები: ოსური, სომხური, აზერბაიჯანული...

იბერიულ-კავკასიური მოდულის ხალხებს ამ ხალხებთან ენობრივი და ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობები ოდითგანვე ჰქონდათ. ეს ურთიერთობები აისახა ენაშიც და კულტურაშიც. ამიტომაც ჩვენ მიერ ახლად შექმნილ პროგრამებში წინა პლანზე სწორედ ენის სწავლებაა წამოწეული.

საბაკალავრო მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი (კავკასიოლოგი).**

#### სწავლის მიზანი:

პირველი ოთხი პროგრამა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძველზე შექმნილი და გულისხმობს ქართულის მონათესავე მთის კავკასიურ ენათა შესწავლას. ოთხივე პროგრამაში გათვალისწინებულია თითო პრიორიტეტული კავკასიური ენის სწავლება, რათა კურსდამთავრებულს შეეძლოს ამ ენათა ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, კომუნიკაცია, თარგმნა და ტექსტის ლინგვისტური ანალიზი.

## პროგრამა ოსთმცოდნეობა

სწავლის მიზანია აღიზარდონ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე ჰუმანიტარი ოსთმცოდნეები - ოსური ენის, ისტორიისა და კულტურის მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც საშუალება ექნებათ, სურვილის შემთხვევაში, სწავლა განაგრძონ მაგისტრატურაში ლინგვისტი ოსთმცოდნის ან ისტორიკოსი ოსთმცოდნის პროფილით.

სწავლის გაგრძელების საშუალება: ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა სწავლა განაგრძოს სწავლების მეორე საფეხურზე მაგისტრატურაში.

## პროგრამა აზერბაიჯანმცოდნეობა

სწავლის მიზანია აღიზარდონ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე ჰუმანიტარი აზერბაიჯანმცოდნეები - აზერბაიჯანული ენის, ისტორიისა და კულტურის მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც საშუალება ექნებათ, სურვილის შემთხვევაში, სწავლა განაგრძონ მაგისტრატურაში ლინგვისტი აზერბაიჯანმცოდნის ან ისტორიკოსი აზერბაიჯანმცოდნის პროფილით.

სწავლის გაგრძელების საშუალება: ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა სწავლა განაგრძოს მეორე საფეხურზე მაგისტრატურაში.

## **პროგრამა კავკასიის ხალხთა ისტორია და კულტურა**

**სწავლის მიზანია** აღიზარდონ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე ჰუმანიტარი ისტორიკოსები - კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურის მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც საშუალება ექნებათ, სურვილის შემთხვევაში, სწავლა განაგრძონ მაგისტრატურაში ისტორიკოსი კავკასიოლოგის პროფილით.

**სწავლის გაგრძელების საშუალება:** ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა სწავლა განაგრძოს მეორე საფეხურზე მაგისტრატურაში.